კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი
მისამართი - მ.ალექსიძის 1/3
ტელეფონი - 032 2 47 42 42

6 მაისს, თბილისი - კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი ახმეტის მუნიციპალიტეტის, ქალაქ სენაკის პირველ საჯარო სკოლაში გამართავს პროექტის პრეზენტაციას „წიგნის მოვლის კულტურა“, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო ღონისძიებას სკოლის მოსწავლეთათვის.

პროექტს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლები ახორციელებენ. 2016 წლის 6-8 აპრილს, პროექტის საპილოტე პროგრამა დიდი წარმატებით ჩატარდა იმერეთის რეგიონში, კერძოდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ზედა სიმონეთის საჯარო სკოლაში, ასევე პროექტი განხორციელდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლაში.

პროექტის მიზანია, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაცემის საფუძველზე ბავშვებს გამოუმუშავდეთ წიგნის მოვლის უნარ-ჩვევები, აგრეთვე ჩამოუყალიბდეთ და აუმაღლდეთ წიგნთან სწორად მოპყრობის კულტურა. გარდა ამისა პროექტის მიზნებში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებულ ბიბლიოთეკებში დაცული წიგნების ფიზიკური მდგომარეობის შესწავლა და მათი რეაბილიტაციის პროგრამის შემუშავება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონში არსებული სკოლის ბიბლიოთეკების მდგომარეობას და ხელს შეუწყობს წიგნის რესტავრაციის პოპულარიზაციას ახალგაზრდა თაობაში.